



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #90

2015 წლის 16 ოქტომბერი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, დაბა ფასანაურში მდებარე 190 კვ.მ მიწის ფართის (ს/კ 71.53.05.570) ფ/კ ზურაბ შოთას-ძე გვრიტიშვილზე სარგებლობაში, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების და ამავე კოდექსის 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ფ/კ ზურაბ შოთას-ძე გვრიტიშვილს გადასცეს სარგებლობაში, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, დაბა ფასანაურში მდებარე 190 კვ.მ. მიწის ფართი (ს/კ 71.53.05.570) აღნაგობის ფორმით.

2. ფ/კ ზურაბ შოთას-ძე გვრიტიშვილის (რ.ფ. სანქტ-პეტერბურგი, პერედოვიკოვის ქ. სახლი 1/6, ბინა 5. პასპორტი; 64#5630437 გაც. 27.12.2011წ. ფმსს 669 მიერ) მიერ წელიწადში გადასახდელი ქირის ოდენობა განისაზღვროს 665 (ექვსას სამოცდახუთი) ლარით.

3. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი